აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

24 ივლისი 2009 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, გია გარსევანიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი თამაზ შარმანშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.
(მომხ: ა. მიქელაძე)

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ცვლილება შედის უსკო-ს მიერ 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებთ დამტკიცებულ საშტატო განრიგის №2 დანართში რის თანახმადაც, იურიდიული სამსახურის შტატით გათვალისწინებული სპეციალისტის შტატი გადადის ეკონომიკურ სამსახურიში. ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი არ იზრდება, რაოდენობა იგივე რჩება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №2

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასი
1	**საერთო სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
2	**საორგანიზაციო სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
3	**იურიდიული სამსახური**	**1**	

	უფროსი	1	1274
4	**ეკონომიკური სამსახური**	**3**	
	უფროსი	1	1274
	სპეციალისტი	1	680
	ბუღალტერი	1	1274
5	**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**	**2**	
	უფროსი	1	1274
	სპეციალისტი	1	680
6	**კადრების სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
7	**თავმჯდომარის თანაშემწე**	**1**	1274
8	**რეფერენტი**	**1**	845
9	**დამხმარე მოსამსახურე**	**2**	
	მძღოლი	1	540
	დამლაგებელი	1	340
10	**სულ**	13	

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია